

# დღეღვა

572  
2003

№1 2003 წელი

უმაწველი უნდა სწავლობდეს  
საწილობლად თავის სადაო:  
ვის არის, სიღამის სურათა,  
სად არის, წაუ სადაო?



# იანოზის ღაღაღა, სისინული ღაღაღა

მცირე სოფელ ვარინში  
დიდი კაცი დაიბადა,  
დღეს გადიდა, გაიზარდა,  
ღამეს მთვარით გაიბადა.  
კამკამებენ ვარსკვლავები  
ბრწყინვითა და ციაცობით...  
მოკვლინა საქართველოს  
ბიბლიური იაკობი.

ბატონიც კი თავის გულსკაცს  
ნმას ვერ გასცემს უბატონოდ,  
საქართველო, ბატონი გუაგს,  
არ დაგაგდებს უბატონოდ.  
გინაროდეთ, უვაფილებო,  
მოვა თქვენნი მფარველიო,  
მისგან წვენიან არავისსე  
არავისგან არ ველიო.

ქართულ სიტყვის მადლს და ალერსს  
ვინც არს მონამიებიო  
სურნელობენ, შრიალდებენ  
მათთვის ია-იებიო.

თავს იწონებს „დღეაღა“  
ვარ მძისა და ვარ დისაო,  
არეს ატკობს სურნელება  
უვაფილთ მუფის — ვარდისაო.  
ნიაფიც კი ჩასსურნელებს,  
მეც სომ მისთვის  
ვილგეო,



გაფუზარდო საქართველოს  
საფარველი შევადებო.  
ია — ია, ია — ჩანგი,  
ია — „შენ ხარ ვენახიო“,  
ია — მტკვარი და არაგვი  
ია — ჩვენი ღიაფიო.  
ღისს იქეთი, ღისს აქეთი  
იმერი და ამერიო...

რაც წმინდა და ქართულია,  
სსეამი როგორ ამერიოს?!  
საინგლო, ერუშეთი,  
შეფეთი და კლარჯეთიო...  
მტვრო, მენ და ბედისწერამ  
გველაქ ერთად მტანჯეთ კიო...  
მაინც ჰგალობს იის სული  
ბეერი, ბეერი ვარ იანიო...

სოფელს მიტრამ თუ ეწოდა  
სანატრელი „ვარინი“.  
მისმა სსივმა გაანათა  
ველა სანდი, ველა კერა,  
რაც ღვთის ძალით გულს გვიგუნია,  
ვერ ჩავვიტრობ, მტვრო, ვერა.  
ტვე შრიალებს, შაშვი გალობს,  
ბულბულები სტყვენ ტკბილად,  
ღმერთი გვეულობს,  
ღმერთი გვეულობს,  
გათუნდება კარგი დილა.



შატავრი  
ზაურ ღმისაძე

ლუკა  
აკასინძე

თამაზ  
მჩაველიანი

ანდრია  
ღვჭავჭავაძე

გიორგი  
მელიქიანი

ნიკა  
ცხალაძე

ადლინა  
მარაშვილი

თაზი  
აბულაძე

# ეს ჩა უსწავი ქვეყნები გემოვიღვიქით!

ნისა



ანა  
არაგვისიანი

ლევან  
ხშიდაშვილი

გიორგი  
ქიშკიაშვილი

35



თამაზ  
ათოშვილი

ზაინ  
საბუქვაძე



ვანო ქლიბაძე



ანი ჩხაიძე



ნინო  
კვიციანი

ზაინა  
ქუაბა

## გილოცავთ დაბადების დღეს!

ანდრია  
ხარაბაძე



ზაინა  
ჯარაბაძე



ნიკოლოზ  
ბაქრაძე



ზაინა  
ხალიძე



ზაინა  
ხალიძე



ლევან და გიგა ზიცასალაძე



გიორგი  
მელიქიანი

# მზარეული

ნიკა ეზოში თამაშობდა. ხან მიწაზე მიაგორებდა ბურთს, ხან მალღა აადგებდა. ერთხელაც აისროლა, ბურთი სახლის საჩხეში შეიჭრა, კედელს ეცა, იქიდან ძირს ჩამოვარდა და ღია კარიდან მარანში შევარდა. ბიჭი მიჰყვა, ბურთი აიღო. ისევ ეზოში უნდოდა გასულიყო, მაჰამ რაღაც სმაურმა შეაჩერა. მიიხედ-მოიხედა, ქვევრებსაც გადაავლო თვალი. ყველას სარქველი ეხურა, მხოლოდ ერთი იყო თავმოხდილი. ხმაც სწორედ იქიდან მოდიოდა.

ამას წინათ იმ ქვევრში პაპამ წყალი ჩაასხა, მერე შიგ ჩავიდა, კრაზანით კარგად გარეცხა-გააკრიოლა და ყურძენი ჩაწურა. ახლა ნაწური ისე დულს, თითქოს ქვემოდან ცეცხლი უნთიაო. ხან ჩუმად თუხთუხებს, ხან შიშინებს, თან წვერი-წვერილი შეხეფების ნაპერკვლებს ისვრის. ნიკა ახლოს მივიდა, ჩააცქერდა და რას ხედავს! ნაწური ქვევრიდან ზემოთ ამოსულა, წვენი კი გადმოდის და მიწაზე იღვრება.

ბიჭი მაშინვე გაიქცა და პაპას დაუძახა:

— პაპა, სადა ხარ?

პაპა სახლის უკან წაღდა ლესავდა, შვილიშვილის ხმა რომ გაიგონა, წინ გამოვიდა:

— აქა ვარ, შვილო, რა გინდა?

— ქვევრი დულს და გადმოდის. მოხედე!

— გადმოდის? — შეიცხადა მოხუცმა, — ესლავე მოვლა, წაღვი, წაღვი იქვე მიაგადო, აჩქარებული ნაბიჯით მარანში შევიდა და ქვევრს დახედა.

ქვევრი მართლა დულდა და გადმოდიოდა.

— საქმეში ისე გავერთე, სულ დამაძინე და დარევა რომ უნდოდა, — თქვა პაპამ, — ღმერთმა გიშველა, ნიკავ, კიდევ კარგი, გამახსენე, თორემ ქვევრი სულ დაიცლებოდა. მაინც რამ დამაძინე, კაცო, ამაზე უკეთესი სხვა რა მებარა! — თავის თავზე გაბრაზებულმა პაპამ კედელზე მიყუდებულ ქვევრის დასარევე კეტს ნამოთავოლო ხელი, რომელსაც ცალ მხარეს წვეროზე თავისივე ბორჯღლები ჰქონდა აქეთ-იქით გაშვერილი. ბორჯღლებიანი მხარიდან ორივე ხელით ღონივრად დასცხო ქვევრიდან მალღა ამობურცულ ნაწურს და ქვევრით ჩააბრუნა. ახლა სხვა ადგილას დაჰკრა კეტი და ისიც ქვევრით ჩაატანინა ბორჯღლებს. თავი არ გაანება, სანამ დაწურული ყურძენი ქვევრის პირს კარგად არ ჩააცლია.

ბიჭს ბურთი ამოუღლიავებია, იქვე დგას, პაპის საქმიანობას ადევნებს თვალს, მოსწონს, ასე ღონივრად რომ დასცხებს ხოლმე კეტს ადუღებულ ნაწურს, ჰგონია ვეთითონაც შეძლებს, და ხვენით ეუბნება:

— პაპა, ახლა მე დავურვე, რა...

— ამას ხვალამდე აღარაფერი უნდა, შვილო, — ღმილით უთხრა პაპამ.

ბიჭს ხმა არ ამოუღია, მხოლოდ ქვევრს ჩახედა.

ნაწური ქვევრით დულდა, ზემოთ აღარ იყო ამობურცული. ხმაც სხვანაირი ჰქონდა: თუხთუხსა და შიშინს რაღაცნაირი ბუზური უერთადებოდა და ქვევრი თითქოს მღეროდა.

პაპამ კეტი კედელს მიაყუდა და მარნიდან გავიდა.

ნიკაც სათამაშოდ გაიქცა. გარეთ შემოდგომის თბილი, მზიანი ამინდი იყო. ხეები ჩუმად იდგნენ, თითქოს მზეში თებებანი. მარანში კი ისევ უტეცხლოდ დულდა რქაითლის ნაწური და ტკბილ, გამაბრუებელ სურნელს აკვევდა.

მატყარი ელზარდ ამოკაბი





# ქართული კლასი-წესები



საქართველოში მეღვინეობას დიდი ტრადიციები აქვს. ღვინის დამზადების წესებმა ბევრი ლამაზი და საინტერესო სიტყვა-ტერმინი შემატა ქართულ სასაუბრო მეტყველებას. იმერეთში ხშირად გაიგონებთ: ჭურის ზარეცხელას მიუგავს თავიო. ხომ დავაინტერესებ, როგორია ჭურის სარეცხელი? როგორია მარანი, რა არის კრაზანა, ხორგო?

უძველესი დროიდან საქართველოში ორი ტიპის მარანი არსებობდა: ხის ან ქვის გადახურული ნაგებობა და ღია მარანი. ღია მარანი ანუ ჭურისთავი კიდევ ორი სახისა იყო: პირველი — ღია ცის ქვეშ, ვენახში ან ბაღში, ხეების ჩრდილში ჩაფლული ქვევრებით, მეორე — ასევე ღია, ცოცხალი ხეების მესრით გარშემორტყმული და დაკიდებული ჭიშკრით (კურტკარი) დამშვენებული. ხეები ზაფხულის სიციხისგან იცავდნენ ქვევრებს. დასველეთ საქართველოში საპატიო სტუმრებს სწორედ ასეთ ღია მარანში, ჭურისთავზე უშლიდნენ სუფრას.


მარნის აუცილებელი ატრიბუტები იყო ქვევრი ანუ ჭური (ღვინის შესანახი თიხის ჭურჭელი) და საწნახელი (დასაჭყლელი, დასაწნები, დასაწური და ღვინის დასაყენებელი ჭურჭელი). საწნახელს საქართველოს სხვადასხვა კუთხეში სხვადასხვა სახელი ჰქონდა: ქართლ-კახეთში — „ნავი“, რაჭა-ლეჩხუმში — „ჩაჭბრიალა“ ან „ხორგო“, ზემო რაჭაში — „ხაბი“, აჭარაში — „სარინა“, სამეგრელოში — „ოქინახი“. ამზადდნენ ხისგან (ცაცვი, წაბლი, თელა, თხილი), ქვისგან, უფრო ადრე კი კლდეში კვეთდნენ. ქართლ-კახეთში საწნახელი ქვიტიკრის მოგრძო ოთხკუთხა აუზი იყო. მისი სიგრძე მარნის კედლის სიგრძეს უდრიდა, სიგანე და სიმაღლე თითო მეტრი ჰქონდა. ერთ მხარეს საწნახლის ფსკერი დაქანებული იყო და ბოლოში ღარი ჰქონდა გაკეთებული. ამ ღარით ყურძნის წვეს ქვევრებში ასხამდნენ. უფრო მომცრო, მთლიანი ცაცვის ან მუხის ხისგან გამოთლილ ყურძნის საჭყლელს ნავი ერქვა. რთვლის დაწყებამდე სამი-ოთხი დღით ადრე ქვევრებს რეცხავდნენ. სარეცხელი არის სარი, რომელსაც ბოლოში ალუბლის ხის მრავალკეცა ქერქი აქვს წამოკმული. სამეგრელოში და გურიაში მას ორჩხუში (ორჩხეში) ერქვა. ჭურ-ქვევრების გასარეცხად იყენებდნენ ორპირ ცოცხსაც, რომელსაც კრაზანად წოდებული მცენარისგან აკეთებდნენ და ამიტომ კრაზანის ცოცხს ეძახდნენ. ნარეცხ წყალს ქვევრიდან გრძელყოლიანი გოგრისგან — აყიროსგან გაკეთებული ტარიანი ჭურჭლით ორწიშითი იღებდნენ, რომელსაც იმერეთში ხრიკას, გურიაში ორკოპეს, ოდიშში ხეპარას ეძახდნენ.

ქვევრის სახურავს ანუ სარქველს სიბი ქვისაგან აკეთებდნენ. იმერეთში ქვევრს ორ ნაწილად გაყოფილ ხის ფიცარს ახურავდნენ. ხის მრგვლად მოჭრილ ფიცარს იყენებდნენ გურიაშიც და მას როგოს უწოდებდნენ.

დაუჭრვიდან ათი-თხუთმეტი დღის შემდეგ, ქართლ-კახეთში, სადაც ღვინოს ჭაჭაზე აყენებდნენ „ქულების დარევა“ იცოდნენ, ე. ო. აღუღებული ტკბილის ზედაპირზე ამოტივტივებული ჭაჭის (ჭულის) არევის იწყებდნენ, რომ ჭაჭა ტკბილის სიღრმეში ჩასულიყო. კახეთში ამისთვის სარცხს მზარობდნენ, ქართლში — ნიჩაბს, რომელსაც ფარსახოდი ეწოდებოდა.

ქართველთა რწმენით, ღვინო მარტო კაცს კი არა, ღმერთებსაც სჭირდებოდათ. სწორედ ამ წარმოდგენას უკავშირდება ღმერთებისათვის ღვინის მიძღვის წესი. ღვინო, რომელსაც ადამიანი ღმერთს უძღვნიდა, ყველაზე მაღალი ხარისხისა იყო და ზედაზე ერქვა. (გადატანითი მნიშვნელობით საუკეთესო ღვინოს დღესაც ზედაშეს ეძახიან).

ქართლის ზოგიერთ სოფელში შემონახულია ნიშა-მარანი მიწაში ჩაფლული ზედაშეს ქვევრებით, რომელიც სოფლის ან გვარის სალოცავიც იყო. სამეგრელოში ასეთ სალოცავს საჯვარე ან ონკამერი-მარანი ერქვა.



მარანი ჰქვია ლვინის სასმისსაც, რომელსაც ძალიან რთული და უცნაური ფორმა აქვს.

# კატოს კატა

სულ სიღაცე  
 კატოს კატა  
 კუდი კოსტა  
 ნახატს ხატავს.  
 კატო კატას  
 მისდევს კუში  
 და ბაზბაზით  
 ნახატს უშლის...  
 მისდევს, მაგრამ  
 ვერ ვწვება,

სადაც არის,  
 წაიქცევა!  
 — კუდი ხანამ  
 უნდა ხატო?  
 დაუცადე  
 კატავ, კატოს,  
 თორემ კუდზე  
 რომ წავწვდება,  
 ციფავ, ცემა  
 არ ავცდება!



## ღალი მამარაშვილი ლეკვი

თამაშობდა გარეთ ლეკვი,  
 ვერ განერდა გრილოში,  
 დედა დიდხანს ემუდარს,  
 შემოდის, შეილო შინ.  
 ხან ქათამები დააფრთხო და  
 ხან ბატს ვეფდა ეუინნას,  
 მეტისმეტი ცელქობისთვის  
 ინდაურმაც იყვირა.  
 მთელი ეხო გაბაყვრა  
 აქეთ-იქით თარეშით,  
 ბოლოს მწარედ ავკიტირდა,  
 თითო მოჭყვა კარებში.

ლია კობალაძე


## მონატრება

ვეღარ ამშვიდებს ვეღარც ბებია,  
 აღარ გაუჭრა ხვეწნა-მუდარამ,  
 პატარას დედა მონატრებია  
 და დედის მეტი არა უნდა რა.  
 თანატოლები ისე არ მოვლენ,  
 რომ არ მოართვან ნუგბარ-ნუგბარი, —  
 ჩვენო სტუმარო, ისიამოვნე,  
 გიმასპინძლებდა მთელი უბანი.  
 ფერად-ფერადი დიდების გროვა,  
 ფერად-ფერადი მძივების შუქი, —  
 სულ არაფერი არ დაიტოვა  
 ბებოც ვეფლაფერს შეილიშვილს ჩუქნის.  
 რაც უფრო მეტად თავს ვვლებიან,  
 მით უფრო ცრემლი ცრემლს ემატება,  
 ბადიში მკურდში კკურის ბუბიას  
 და ეფერება დედის ხატებას.



მატყარი ნანა სანაია





იყო და არა იყო რა. იყო და ახლაც არსებობს უზარმაზარი გაკარვარებულ ბურთი, მისი სახელია მზე. ქვეყნიერებაზე უაშრავი მზეა, რომლებიც ვარსკვლავებად სხედან ღამეულ ცაზე. ისინი მოციმციმე წერტილებად იძიებენ ჩანან, რომ ჩვენგან ძალიან, ძალიან შორს მდებარეობენ.

ამ ზღაპრის დასაწყისშივე მზე რომ ვახსენეთ, ის ჩვენი მშობლიური მზეა, რომელსაც ყოველდღიურად, აისიდან დაისამდე ვხედავთ ცაზე. ჩვენი მზეც ერთი იმ ვარსკვლავთაგანია, მილიონობით რომ მიმობნეულან სამყაროს უკიდევანო სივრცეში, ოღონდ ის ყველა სხვა ვარსკვლავზე ახლოსაა ჩვენთან. ამიტომაც ჩანს ასე დიდი და ამიტომაცაა ასე მცხუნვარე.

ვარსკვლავებს თავ-თავიანთი ოჯახები ჰყავთ. შვილებიც ჰყავთ და შვილიშვილებიც. ჩვენი მზის ოჯახში ცხრა შვილი და სამოცდაერთი შვილიშვილია: ყველანი მზესსავით ჩამრგვალებულნი არიან. აი, რა უცნაური სახელები დაარქვა მზემ თავის შვილებს: ოტარიდი (მერკური), ასპიროზი (ვენერა), გეა (დედამიწა), მარიხი (მარსი), მუშთარი (იუპიტერი), ზუალი (სატურნი), ურანი, ნეპტუნი და პლუტონი. მათგან შვიდი ვაჟია, ორი კი - ასპიროზი და გეა - ქალია. ისინი ტყუპი დები არიან. გარეგნულად ძალიან ჰგავნან ერთმანეთს, თუმცა ხასიათით დიდად განსხვავდებიან. ასპიროზი ღამაში, მაგრამ მეტად ქარაფშუტაა. სულ სარკეში იფურება, აკვლულობს და იბრანჭება. შვილები არა ჰყავს.

გეა ბრძენი ქალია, ამასთან ძალიან ღამაში. მას კოსმოსის ცისფერ დელოვალსაც ეძახიან. ერთი შვილი გაზარდა. იგი ღამის მნათობია და მთვარეს ეძახიან. მთვარე გეას შვილი და მზის შვილიშვილი გახლავთ, მუდამ დედის ირგვლივ ტრიალებს, თუმცა, ნეტიალის ჟინით შეპყრობილს, სამყაროს იღუმადი მზეებისკენაც გაურბის თვალი, მაგრამ დედისა და ბებუის საოცარი ძალა არსად უშვებს.

ოტარიდი და პლუტონი მზის უმცროსი შვილები არიან. სხვა შვილებს მსგავსად ისინიც გამუდმებით მოძრაობენ თავიანთი დედის - მზის ირგვლივ. ოტარიდი ყველაზე ახლოს ცხოვრობს მზესთან, პლუტონი კი, პირიქით, ყველაზე შორს. ამიტომ ოტარიდს მუდამ სცხელა, საწყალი პლუტონი კი, სიცივისაგან გაიოშლია, მუდამ კანკალებს.

ოთხი უფროსი ძმა - მუშთარი, ზუალი, ურანი და ნეპტუნი ერთმანეთის გვერდით ცხოვრობენ და მტკიცე ჯანმრთელობითა და გოლიათობით არიან გამორჩეულნი. მარიხი მათზე უმცროსია და გეასა და მუშთარს შორის ცხოვრობს მართალია სიდიდით იგი უფროს მძებს ვერ შეედრება, მაგრამ გულდალობით ყველას სჯობს განთქმულ ვაჟკაცს ადვილად ვერავინ ჩაგრავს მას, როგორც ყველა რაინდს უმწუროთა გამოსარჩლებაც უყვარს.

აი, ასეთები არიან მზის ოჯახის წევრები.





## სამეფო გზა

სასკოლო განათლების ახალი კანონის მიხედვით ყოველი სახელმძღვანელო მხოლოდ ოთხ სასწავლო წელს „მუშაობს“, ამის შემდეგ კი იგი უნდა შეიცვალოს.

ჩვენს წელთაღრიცხვამდე მესამე საუკუნეში ძველმა ბერძენმა მეცნიერმა, სახელგანთქმულმა ევკლიდემ შექმნა მათემატიკის ენციკლოპედია, რომელშიც რამდენიმე წიგნი გეომეტრიადაც მიუძღვნა. ევკლიდეს წიგნები 20 საუკუნის განმავლობაში ძირითადი სახელმძღვანელო იყო გეომეტრიაში, როგორც მაკჰადიანური, ისე ქრისტიანული სამყაროსათვის. მთელი ცივილიზებული კაცობრიობა მე-17 საუკუნემდე ევკლიდეს სახელმძღვანელოებით სწავლობდა გეომეტრიაში.

ევკლიდემ საბერძნეთის სახელი და დიდება იყო. ერთხელ საბერძნეთის მეფე, რომელსაც პტოლემე ერქვა, დანტრეხდა ევკლიდეს გეომეტრით. ლეგენდა გვიამბობს, რომ პტოლემემ ევკლიდეს ჰკითხა — ნუთუ არ არსებობს შენი გეომეტრის შესასწავლად რაიმე სწრაფი და ადვილი გზა? ამ კითხვაზე თურმე ევკლიდემ მიუგო:


— გეომეტრიაში არ არსებობს სამეფო გზა!

ევკლიდემან მოყოლებული, ყველა ქვეყნის მოწინავე მეცნიერები, პედაგოგები, მეთოდისტები თავდაუზოგავად შრომობდნენ და აკებდნენ გეომეტრის სამეფო გზას. პტოლემეს არ ეურჩა ამ გზის გაეცლა, რადგან მაშინ იგი არ არსებობდა. დღეს ეს გზა დაგებულია. თქვენ ამ გზით შეხვალთ გეომეტრის სამყაროში.


## ძირითადი ცნებები

თქვენ უკვე იცით, რა არის წერტილი და რა არის მონაკვეთი. სურათზე წერტილებს აღნიშნავენ ლათინური ანბანის დიდი ასოებით, ხოლო მონაკვეთებს — ამავე ანბანის ორ-ორი ასოთა. მაგალითად, წერენ ასე A წერტილი, AB მონაკვეთი.

ოთხკუთხედის თითოეული წვეროდან ფარგლით შემოხაზეთ ტოლი რადიუსის რკალები ისე, როგორც სურათზეა ნაჩვენები. გამოჭერით ეს ოთხკუთხედი, შემდეგ კი რკალების გასწვრივ, ჩამოაჭერით A, B, C, D კუთხეები და ისე დალაგეთ, რომ ყველა წვერო ერთ წერტილში მოხვდეს. მიიღებთ წრეს.



საოცარია, როგორც უნდა აიღოთ წერტილები, ყოველთვის **სრულ წრეს** მიიღებთ. სწორედ ამიტომ ამბობენ, რომ ოთხკუთხედის ყველა კუთხის ჯამი **სრული კუთხეა**.



ახლა აიღეთ სამკუთხედი და შეასრულეთ ანალოგიური მოქმედებები. ამჯერად ზუსტად ნახტარწერეს მიიღებთ. სრული კუთხის ნახტავარ **გაზულილი კუთხე** ეწოდება, ამიტომაც ამბობენ, რომ **სამკუთხედის კუთხეების ჯამი ყოველთვის: გაზულილი კუთხის ტოლია**.



## დავალება:

ა) სახატავი რვეულის ფურცელზე დახაზეთ ოთხკუთხედი. წვეროებიდან შემოხაზეთ ერთნაირი რადიუსის რკალები ისე, რომ მათ ერთმანეთი არ გადაკვეთონ. გამოჭერით ოთხკუთხედი, შემდეგ კი რკალების გასწვრივ ჩამოაჭერით მას კუთხეები. დალაგეთ ისე, რომ ყველა წვერო ერთ წერტილში მოხვდეს. რა მიიღებთ?

ბ) სახატავი რვეულის ფურცელზე დახაზეთ სამკუთხედი. წვეროებიდან შემოხაზეთ ერთნაირი რადიუსის რკალები. გამოჭერით სამკუთხედი, შემდეგ რკალების გასწვრივ ჩამოაჭერით კუთხეები. ერთმანეთის გვერდით ისე დალაგეთ, რომ ყველა წვერო ერთ წერტილში მოხვდეს. რა მიიღებთ?





ანა დოღაშვილი  
სკოლა-კოლეჯი „ნინო“  
I კლასის მოსწავლე

XXX  
ცამ ისე მოიწყინა,  
რომ ცრემლები წამოსცივდა.  
გაწვიმდა.  
წვიმის წვეთები  
მათულზე ჩამოსდნენ.  
მე წითელი ქოლგის ქვეშ  
დავიმალე წვიმას.  
წყაპ-წყუპ!  
წყაპ-წყუპ!



ვერიკო დოღაშვილი  
სკოლა-კოლეჯი „ნინო“  
VI კლასის მოსწავლე

XXX  
საოცარ, საკვირველ ფერებს ქმნის ბუნება  
და არა მხატვარი.  
მიტომ გვაქვს უფლება,  
ბუნებას ეწუროდით  
სამყაროს მხატვარი.

## ზამთრის ზღაპარი

ზამთრის ცივი საღამო იდგა. ბებიას შვილიშვილებს ზღაპარს უყვებოდა. ბავშვები ავინებულ ბუხართან ისხდნენ და ყურადღებით უსმენდნენ. აი ზღაპარიც: «ერთი სოფლის სკოლაში პატარა ტატო სწავლობდა. ის ღარიბი და საწყალი ოჯახიდან იყო. მისი შშობლები კეთილი ადამიანები იყვნენ. დედა სათონა და მორიდებული დაძაინი გახლდათ და ყველას უყვარდა. მამა შშორიშვილი და ძლიერი კაცი იყო, მაგრამ იგი ომის ღრის დაიღუპა და ბიჭი ობლად იზრდებოდა. ტატო ხელმოკლედ ცხოვრობდა. შუა ზამთარში სკოლაში დაძინებულ შარვლით დადიდა. კლასელებს ძალიან ეცოდნებოდათ. მათ კლასში ერთი ჭკინი და საზრიანი გოგო მარიაში სწავლობდა. მას ძალიან უყვარდა კოლექციის შეგროვება და საკმაოდ ძვირად ღირებულ მარცეის კოლექციაც ჰქონდა, რომლის გარეშეც ერთ დღესაც კი ვერ ძლებდა. მას ძალიან ეცოდნებოდა პატარა ტატო, უნდოდა დახმარებოდა, მაგრამ ან იცოდა, რით, ვიგონამ ბევრი იფიქრა და მტკიცედ გადაწყვიტა თავისი კოლექცია გაეყიდა, მიუხედავად იმისა, რომ მარცეის ძალიან უყვარდა და ამ კოლექციის გარეშე ცხოვრება არ შეეძლო. მართალია, გული ძალიან სწუდებოდა, მაგრამ რას იზამდა? გაყიდა კიდეც. აღებული ფულით ტატოს თბილი შარვალი და ფეხსაცმელი უყიდა. შედეგ კარადიდან თავისი უფროსი ძმის პატარაობის დროინდელი ქურთუკი გამოიტანა ჩუმად და ბიჭის სახლში გაიტყა. ტატოს ძალიან გაუხარდა. დედამისმა მარიაში გადააკონა, მაღლობა გადაუხარდა, წითელი ვაშლი მისცა და გამოუშვა» — ასე დაამთავრა ბებიამ ზღაპრის მოყოლა. ბავშვები მას გაოცებულ სახით შეჰყურებდნენ. ეტყობოდათ, რომ მარიაშის სიყვარულე მოეწონათ. შვილიშვილებმა თვითონაც გადაწყვიტეს, ყოველთვის დახმარებოდნენ გაჭირებულს და მარიამის მაგალითზე კეთილი საქმეები ეკეთებინათ. ეს ზამთრის საღამო ბავშვებს არასოდეს დავიწყებიათ.



მატა ორაბაგველიძე  
VIII კლასის მოსწავლე

## დედა

დედის ჩაწვეთებულ ცრემლზე ია ამოვისო, — წერდა პოეტი.  
თურმე დედა იმდენად ტბილი და თბილია, ისეთი სათუთია, რომ მისი ცრემლით ულამაზეს ყვავილს, რომელიც უძვირფასეს დედის ჰვავს, ფესვები გაეზრდება და დედამიწას მოეფინება, იმიტომ რომ შემდეგ ისე მოეწყვიტოთ და ისე დედას ვაჩუქოთ. მას ხომ შვილის პაწა ხელით მიწოდებული ყვავილი ყველაზე მეტად ახარებს.  
„დედა“ — რა საოცარი სიტყვაა! მისი გაგონებისას ყოველთვის რაღაც იმედი მეძლევა, იმედი იმისა, რომ თუ მეტკინება, ტკივილს დამიამებს, თუ მეწყინება, სევდას გამიქარებს, თუ შემცოცვდება სითბოს გამინაწილებს.  
დედა რომ ყველაზე კეთილია. მისარია, ახმა და დედოცს გვერდით ცხოვრობს.

ნინო ორაბაგველიძე  
V კლასის მოსწავლე



რომელი რაინდი მივა მზეთაყნაბეთან ისე,  
რომ ვკლუშაქის ხახაში არ მოხვდეს?



# კეთილი მოხუცისა და კუნა გოგოს ზოპანი

იყო და არა იყო რა, ერთ სოფელში ერთი ბერი-კაცი ცხოვრობდა. ბერიკაცი თავის წუთისოფელს უცოლშვილოდ შეაბერდა. ბოლოს მოსწყინდა მართობა და იფიქრა, მიდი, დარჩენილ დღეებს ყვაილუმებზე ზრუნვაში გავატარებო. ადგა ერთ დღეს და ეზოში ყვაილების არნახული ბაღი გააშენა.

რომელ ყვაილს არ ნახავდით მოხუცის ბაღში: იებსა თუ ენძელებს, ვარდებს, შროშანებს, ზამბახებს თუ ყორივარდებს. გათენდებოდა თუ არა, მოხუცი ხელჩაფს წყლით აავსებდა, გავიდოდა ბაღში და გვიან საღამომდე ფუსფუსებდა. ყვაილებიც გულის ფანცქალით ელოდნენ მოხუცის გამოჩენას. როგორც კი მოხუცს თვალს მოჰკრავდნენ, წაშვე მოიკოპწია-ვებდნენ ლამაზ კისრებს და ჩურჩულით გადასახებდნენ ერთურთს, შევეგებობო, გოგოებო, კეთილი მეყვაილე, კეთილი მეყვაილე მოდისო...

ერთ დღით მოხუცს ბაღიდან ბავშვის ტირილი მოესმა. იგი ბაღში შევიდა და ჰოი, საოცრებაჲ, ვარდის ბუჩქთან კუნა გოგო შეინშნა.

მოხუცმა ბავშვი ხელში აიყვანა, ღმერთს მადლობა მოახსენა და ქოხში შევიდა.

მაღე მთელი სამყარო შეუერთდა მოხუცის სიხარულს:

ბულბულებს დილ-დილობით ირმების თბილი რძე ჩამოჰქინდათ გოგონასთან მიდიან.

ია-ენძელები ყვაილების ახალ-ახალ კაბებს უქარგავდნენ გოგონას.

ნაშუადღევს, როცა მიდიან სიო დაბერავდა, ვარდები ყვაილის მოსახამს მოახვევდნენ გოგოს ტანზე.

კუნა გოგოც მალე შეეჩვია კეთილ მოხუცსა და ყვაილიანარს. გაიღვიძებდა თუ არა, სათითაოდ ჩამოურებნდა ყვაილთა თაიგულს და ჰაწაწინა თითებით ყვაილებს გულისპირიდან ნამს მოსწმენდა. შუადღისას, როცა ბაღში აღხა ჩადგებოდა და სიცხისგან ყვაილებს სუნთქვა ეკვროდათ, გოგონას სსწრაფოდ ჩაირებნდა წყაროზე, დოქით წყალს ამოაცუნცუნებდა და ყვაილებს მოაჰკურებდა.

საღამოობით ბუღბულებიც მოფრინდებოდნენ, მიუსხდებოდნენ გოგონას გვერდით და სიმღერას დააწერიალებდნენ:

მოსალამოვდა, იებმა,

ყაყართ გადასახესო:

მხესთან რომ თავსა იწონებთ,

მთვარეს რად უმათ სახესო?

მიდით და ერთად დაეძახხოთ,

ჰარი ჰარალი, ლაღლო...

დრო ძალზე სწრაფად გავიდა. გოგო გაიზარდა. ისეთი მშვენიერი გახდა, რომ მზეც მორცხვად არიდებდა სიხვეს მის სილამაზეს.

ერთ დღეს მოხუცი მეყვაილე შეუძლოდ გახდა. იხმო გოგო და უთხრა:

— შვილო, ძალზე შეუძლოდ ვარ, ვხედავ, ჩემი სიკვილის დრო მოახლოვდა. ვიცო, გაინტერესებს შენი მშობლების ადგილსამყოფელი. ისინი ერთმა გველემამამა მოიტაცა, როცა შენ სამი წლის იყავი, მას შემდეგ თავისთან ჰყავს ჩაკეტილი გამოქვაბულში. ვერ შევეძელი გველემასთან შეშმა, დიდი ხანია მუხლი აღარ მიჭრის. გამოქვაბულის გზას მერცხლები გასწავლიან, სწორედ მათ გამოსტაცეს გველემას შენი თავი და აქ მოგიყვანესო, — თქვა მოხუცმა და ღვითი განისვენა.

გლოვამ მოიკვა ირგვლივ ყოველი. ქვეყნის ყველა კოხიდან მოდიოდნენ მეყვაილეები მოხუცთან გამოსამშვიდობებლად. ყვაილების სამარეში ჩაასვენეს კეთილი მეყვაილე.

გავიდა დრო.

გაზაფხულის ერთ საღამოს გოგო მოხუცის საფლავთან იჯდა. ამ დროს მოფრინდნენ მერცხლები და გოგოს მშობლებზე ყველაფერი დაწერილობით უამბეს, თან აღუთქვეს, რომ დღითი გამოქვაბულის გზას ასწავლიდნენ.



— ჩვენც თან წამოგვყვებით, — თქვეს ბულბულმა.

ყვაილებმა ის ღამე თეთრად გაათენეს.

ვარდებმა ყვაილის ნაყენი მოუმზადეს გოგოს — თუ ამ ნაყენს შვის ამოსვლამდე დალევ, ვერანაირი ავსული წინ ვერ დაგიდგებაო.

ყაყარობმა ყვაილის მოსასხამი მოუქარგეს — თუ კარიშხალი ამოვარდეს, ეს მოსასხამი ტანზე მოიცდი და გზას იოლადა გაივლიო, — უთხრეს.

გვირილებმა ღამაში თაიგული მიათრევეს, — თუ ზღვა შეგზვდეს გადასავლელი, თაიგული წყლის ზედაპირზე დაედ და იმ წუთში ნავად გადაიქცევაო, — დაირიეს.

ღილით გოგომ ყვაილებს მადლობა გადაუხადა, გამოეთხოვა მათ და ბულბულებთან და მერცხლებთან ერთად გზას გაუდგა.

იარეს და იარეს,

მთები გადაიარეს,

გაიარეს მინდვრები და ღილით ერთ ტყეს მიაღგნენ.

გაზაფხულის მშვიდი ღილა იდგა. იებსა და ენძელეს თოვლის საფარი გადაეძროთ და კოკობზიკა ყვაილები გამოეფინათ მზეზე. ნუშისა და შინდის კვირტები თავმოქმედდნენ გადმოხსნდარიყვნენ რტობებზე და გაფაციცებით ჰყვეოდნენ ზამთრის ამბებს. ზემოთ, მთაში თოვლს ქანცე გასწყვეტოდა, ნაკადულს ყინულის საბუხლე შემოეხია და ამძინად მოწონწიალობდა თავქვე. გზად ბელურები ეგებებოდნენ და პაწაწინა ფრთებით გაზაფხულს ფრთაწყარობდნენ.

გოგომ და ჩიტებმა გაზაფხულის სიმღერა შეაგებეს ტყის სილამაზეს:

ღირავ, ღირავ, დეღა,

ღიროვ დელი-დეღა,

შვის სხივებში ციალებს

ია და ენძელა.

გვირილა და ფრთახატულა, ყაყაო და ფრთაწყარო, გაზაფხული შემოსულა სიცოცხლე რომ გვახაროს.

ღირავ, ღირავ, დეღა,

ღიროვ, დელი-დეღა, ჰეე...

დაასრულეს სიმღერა, გამოემშვიდობნენ

ტყის სილამაზეს და კვლავ გზას გაუდგნენ.

იარეს და იარეს,

მთები გადაიარეს

გაიარეს მინდვრები და ბოლოს ერთ კლდეს მიაღგნენ.

მერცხლებმა გოგოს უთხრეს, რომ სწორედ ამ კლდეში ბინადრობდა გველეშაპი. ბევრი უტრიალა გოგომ კლდეს, მაგრამ შესასვლელი ვერ უპოვა და დაღონებული ქვაზე ჩამოვდა.

უცბე გოგომ ხევში დედაბერს მოჰკრა თვალბრძოლიც მდინარის ნაპირზე იჯდა და მწარედ იცრემლებოდა.

გოგომ სასწრაფოდ მიიბრინა დედაბერთან და ჰკითხა:

— დედი, ეგრე მწარედ რატომ სტირიო?

— მონადირეებმა შვილი დამიჭრეს სასიკვდილოდაო.

— დედი, ვინ არის შენი შვილი, ან რად დაგიჭრეს სასიკვდილოდ?

— ჩემი შვილი ამ მთისა და ბარის მბრძანებელი გველეშაპია, სწორედ მას ჰყავს შენი მშობლები გამოქვაბულში ჩამწყვდეულიო.

— დედი, ჭრილობას რაიცი ვუწამლო?

— მხოლოდ ზღვის მარჯნით. აქედან ზღვა შეიდი დღის საგაღზეა, შეიდიც უკან, გველეშაპს კი ხუთი დღის სიცოცხლე დარჩაო.

გოგომ დედაბერს პირობა ჩამოართვა, რომ თუ ხუთ დღეში ზღვიდან მარჯანს მოუტანდა და გველე-



შაპს სიკვდილისაგან იხსნიდა. დედაბერი გველეშაპს მის მშობლებს ტყეებიდან გაათავისუფლებინებდა.

გოგო შეგობრებოდა ერთად გზას გაუდგა.

იარეს და იარეს,

მთები გადაიარეს.

ტბებაც გადაცურეს და ზღვის ნაპირსაც მიაღგნენ.

გოგოს გვირილების რჩევა მოაგონდა, ყვაილების თაიგული წყალზე დადო. მართლაც, თაიგული



ნავად გადაიქცა. გოგომ ყაყაჩოებისაგან მორთმეული ყვავილების მოსასხამი მხრებზე მოიხურა და მეგობრებთან ერთად ზღვაში შევიდა.

ორი დღე და ღამე ამაოდ დაცურავდნენ ზღვაში, ზღვის მარჯანს კი ვერსად გადააწყვდნენ. ბოლოს, რაღას იზამდნენ, თვალცრემლიანი უკან გამობრუნდნენ. ის იყო ნაპირს უნდა მისდგომოდნენ, რომ უცერად საშინელი გრიგალი ამოვარდა და აბოხტრებულიმა ტალღებმა ნავი ზღვის სიღრმეში ჩაითრია.

— გაფრინდით, თავს უშველეთ, — უთხრა გოგომ მეგობრებს.

შეშინებული ბუღბუღები და მერცხლები გოგოს მკერდზე მიეკრნენ და დაიჩურჩულეს:

— ჩვენც შენთან ერთად დავიღუპებითო. გოგომ მეგობრებს ხელი მოხვია და მაგრად ჩაიკრა გულში.

გრიგალი უფრო და უფრო მძინეზარებდა და ტალღები უფრო სწრაფად მიაქანებდნენ ნავს ზღვის სიღრმეში.

უცებ, სად იყო და სად არა, ნავთან დელფინი გაჩნდა. დელფინმა ნავს კუდი გამოსდო და ნაპირზე გაიყვანა. სიხარულისა და მადლიერების ცრემლებს სრუქნიდა გოგო დელფინს. დელფინმა გულიდან მარჯნის მძივები მოიხსნა, გოგოს უსახ-

სოვრა და ზღვაში გაუჩინარდა. გოგონა გახარებულად გაბრუნდა უკან მეგობრებთან ერთად.

იარეს და იარეს,  
მთები გადაიარეს,

ტყეებიც გადაცურეს და ბოლოს კვლავ კლდეს მიაღვინენ. გოგომ დედაბერს ზღვის მარჯანი გადასცა. დედაბერმა მარჯანი ჩამოართვა, მადლობა გადაუხადა და ბილიკით კლდეს აუყვია. როცა დედაბერი თვალს მიეფარა, კლდე შუაზე გაიყო და კლდიდან გოგოს მშობლები გამოვიდნენ.

დიდხანს, დიდხანს ეხვეოდნენ და ეაღერებოდნენ მშობლები და გოგო ერთმანეთს. მერცხლები და ბუღბუღები სიხარულით აიჭრნენ ცაში და მთელ ქვეყანას ამცნეს გოგონას და მისი მშობლების ბედნიერების შესახებ...

ამ ამბიდან დიდმა დრომ გავლყო.

გოგო კი დღესაც თავს დასტრიალებს ყვავილების ბაღს. კრუფს ხვავადსხვა ყვავილს და ღამაზ-ღამაზ თივკულებს ურიგებს მთელი სამყაროს კეთილ აღამიანებს.

თქვენც კი, ჩემო ბატარა კუდრაჭკობო, თუკი დილა-ადრიან გახვალთ ყვავილების ბაღში ან თქვენი სახლის აივანზე და გულდასმით მიაყურადებთ მერცხლების ჭიკჭიკსა და ბუღბუღების გალობას, ნახავთ, რომ ისინი თქვენც გიყვებიან ზღაპარს კუკან გოგოზე.





# ფისოს წერილი თაბუნებს

დიდით ფოსტით მოუვიდათ  
თაგუნებს ბარათი:

ფისო სწერდათ:

— წრუწუნებო,  
მორებლებად აღარ გთვლით.  
დამწვევით დღეობაზე,  
გაუჩანდით ღზინით,  
ბლომადა მქექს სორბლეუღი,  
ნამცხვარი და თხილით.

იმევე დღეს თაგუნებმა  
გაუგზავნეს ბარათი:

— წუწკო კატავ, წუხელს აქეთ  
შეგეცვალა ადამი?!  


სალომა ოშიაძა

## მკარავი ბებო

ბებო — ჩემი მკერავი,  
ვერ აჯობებს ვერავინ.  
ისეთ კაბას მიქარავს,  
მოსვენებს მიკარავს.  
დამიკვარ რუშები,  
კოსტა, მოხდენილები,  
ქობაც დამიკვირისტა,  
მაძებნინა დილები,  
ვერ მშველიან მძობლები,  
მუდამ გადადლები.  
ისეთ კაბას მიქარავს,  
მოსვენებს მიკარავს.  
— ბებო, ჩემო საუფარელო,  
რა ვიფიქრე, იცი? მერე, —  
როცა დიდი გავიზრდები,  
სამატარძლოც შემიკურე.  
— როგორ არა, მერეც, მერეც —  
შეგიკურავ ან წელს კიდევ.  
ჩამაცვა და ტეხილად მიიხრა:  
კენაცვალე, მსით გაცვითე!

## მარიამ ნიკლაური-ძიძიბური ზღარბები

მამა ზღარბი მწვემსავს ფარას,  
დედა ზღარბი ბაღნას ბარავს,  
— რას დათესავს ნეტავ? — კამას!  
— რას შეკასმავს მერე? — ქამას!  
— ვის მიართმევს? — შვილიკოს.  
— შვილს რა ჰქვია? — ილიკო.  
— ანლა ნეტავ რასა იქმს?  
— ზის და ფურცლავს ღამას წიგნს.



„3060, რომ არაფერი 3060“

ძველი ათენის ჭრელ ბაზრებში ერთი აბეზარი კაცი დადიოდა, სახელად სოკრატე. თავად არაფერს ყიდულობდა. ასე ამბობდა: ბაზარში ადამიანები ცმაყოფილებას ყიდულობენ, მე კი უფროად ვმოულობ მას ჩემსაკე სულში. მერე იქაურობას მწუხარე მხერას მოაკვებდა და სინანულით დასძენდა: ღმერთო, რამდენი ნივთია ქვეყნიერებაზე, ურობ-ლისოდაც მშვენიერად იცხოვრებდიო. ეს უცნაური კაცი ახირებული კითხვებით მოსვენებას არ აძლევდა ათენის მცხუნვარე მზით ისედაც თავგაბეზრებულ გამძიდველსა თუ მდიდრებს: რა არის მშვენიერებაო? რომელი ჯობს — თინის უბრალო ქოთანს თუ განიქმული მოქანდაკის ქანდაკებაო? წვიმა ბორცობაა თუ სიციეთო?.. თუ უპასუხებდნენ,

ქანდაკება სჯობს უბრალო ქოთანსო, ჩაიხიხითიხიებო, ეშმაკურად მოჭუტავდა თვალებს და კითხულის ნიშნის მოკვებით ეტყოდა: თუ საჭმლის მოსახარმად ქოთანი არ გექნა, მაშინაც ქანდაკებას მიანიჭებ უპირატესობასო? ახლა მქონეს მიუბრუნებოდა: თუ გგონია, რომ წვიმა ბორცობაა, რას იტყვი გვალვების დროსო? თუ ეტყვიდნენ, არა, წვიმა სიციეთო, ამაზეც მზად ჰქონდა პასუხი — მოსაგლის აღებისას რომ გაწვიმდეს, მაშინო?

თავგზადკარგული თანამოსაუბრეები ჭირვეულ ბრძენს დაბნეულები მისწერებოდნენ და პასუხს ისევ მისგან ელოდნენ. სოკრატეც არ აყოვნებდა და პირდაღებულ ხალხს სიცილით ეტყოდა: მე ის ვიცი, რომ არაფერი ვიციო.

## „შეიცან თაჰი შენი“

ასე დადიოდა ბრძენი ათენის ბაზრებსა და ქუჩებში. ნელ-ნელა თავისი აბეზარი, მაგრამ უწყინარი კითხვებით მთელი ფილოსოფია სამყაროს შესახებ გვერდზე გასწია და მხერა ადამიანისაკენ, მისი „მე“ს შესწავლა-ანალიზისაკენ მიმართა. იგი ფიქრობდა, თუ ადამიანი შეძლებდა საკუთარი თავის შეცნობას, მაშინ აიხსნებოდა სამყაროს მთელი აგებულება. ამიტომ მან თაღის მძლეუტელის ცნობილი ფრაზა — „შეიცან თაჰი შენი“ — ცხოვრების დევიზად გაიხადა.

ცხოვრობდა ასე, სიდატაკეში, რადგან ყველაზე მეტად თავისუფალ დროსა და თავის „საუბრებს“ ავსებდა. მისი ცლილი, ქსანტია სულ ვაუჯდოვებდა, ჭირვეულობდა და ანწხლობდა, საშველს არ აძლევდა ქმარს, ყოველდღე „საქაილად“ და „ჟისი ვასაკანად“ მიმავლს ქოქოლას აყრიდა. იმდენი ქნა, რომ თავისი სახელი — ქსანტია — აწწხდა და კაპასი ცილის ზოვად სახელად აქცია. სოკრატეც — სოკრატეს უბრალო საუბრები სიბრძნედ იქცა და მთელს საბერძნეთს მოეღო. როდესაც დელფოსის ორაკულს პითაის ჰკითხეს, ვინ იყო ყველაზე ბრძენი კაცთა შორისო, მან უყოყმანოდ უპასუხა: „სოკრატეა უბრძნესი კაცთა შორის!“

## შხამის ფილა

სოკრატეს დიდი მეგობრისა და ათენის „ოქროს საუკუნის“ შემქმნელი უდიდესი პოლიტიკოსის პერიკლეს ვარადაცვალების შემდეგ სახელგანთქმულ ფილოსოფოსს უამრავი მტერი და მოშურენ გაუჩნდა. პერიკლეს სიკვდილიდან 30 წლის შემდეგ, ჩვ. წ-მდე 399 წელს, სოკრატეს „ახალი ღმერთების რწმენისა“ და „ახალგაზრდების გარყვნისთვის“ სასამართლომ სიკვდილი მოუხაჯა. სასამართლოზე წარმოთქმული სიტყვა გენიოსმა ფილოსოფოსმა და სიკვდილის შემდეგ პრეტენციის იდეალად აღიარებული მამა ადამიანმა ასე დაასრულა: „რას ვიზამთ, მე მივედივარ სასიკვდილოდ. თქვენ რჩებით, რათა იცოცხლოთ, მაგრამ ადამიანმა არ იცის ამ ორიდან რომელია უმჯობესი“.

ამ სიტყვების შემდეგ მან მშვიდად მიიტანა ბაგეებთან ციკუტას შხამით სავსე ფილა.

სოკრატეს სიკვდილი წარუხოცელ სირცხვილად დარჩა ათენის ისტორიაში, თავად სოკრატე კი სიბრძნისა და ფილოსოფიის სიმბოლოდ იქცა.

## სოკრატე

ჩვ. წ-მდე 470-399

# NOSCE TE IPSUM



# ღვი კოკაი და ზაღვანი მიკი ფანა

ერთ მშვენიერ დღეს ორი მეფე შეხვდა ერთმანეთს. ერთი მათგანი მრისხანე „ტყის მეფე“ – დევი კოკეტი იყო, ხოლო მეორე – მიკი ფენკი, უძლეველი და დაუმარცხებელი „მდინარის მეფე“. კარგად მოგეხსენებათ, როცა ორი მბრძანებელი ხვდება ერთმანეთს, რაღაც მნიშვნელოვან მოვლენას უნდა კვლიდეთ.

მთელი ზამთარი დევი კოკეტი თავის მეგობართან ჟორჟ რისელთან ერთად ნადირობდა. „ტყის მეფის“ მახვილ თვალს, აბა, რა ნადირი გამოეპარებოდა. არც ჟორჟი იყო ახალბედა მონადირე. ერთი სიტყვით, მეგობრებს დრო უქმად არ დაუკარგავთ და დიდძალი ბეწვეული შეაგროვეს. დადგა გაზაფხული. ახლა ჩვენი ორი მეგობარი ბეწვეულის გასაზიდად დიდ მდინარეზე შესაფერის ნავს ეძებდა.

მაღე ბრტყელძირა კარჭაპს წააწყდნენ, რომელსაც გვერდზე დიდი ასოებით ეწერა:

## ალბატროსი.

აბა, გამოიცანით, ვინ იყო „ალბატროსის“ კაპიტანი? დიახ, დიახ, რა თქმა უნდა: მიკი ფენკი გახლდათ.

– მე ვინ არ მიცნობსო, – განაცხადა მიკი. – შეიძლება, უბრალო კაცი ვარ, მაგრამ სახელმწიფოებრივი. ტვირთს გადაგატანინებთ, ოღონდ, გაფრთხილებთ, ძვირი დაგიჯდებათ, ოცდაათი ათას ფრანკს კაპიკი არ დააკლდება!


დევისა და ჟორჟს ამოღენა თანხის გადახდა აბა, სად შეეძლოთ. ბედლად, იქვე, შორიასლოს, სხვა კარჭაპი დაინახეს, რომელსაც „მერცხალა“ ერქვა.

– სიამოვნებით წავიყვანდით, – თქვა „მერცხალას“ კაპიტანმა, მაგრამ სამწუხაროდ, ეკიპაჟი არა მყავს.

– გმადლობთ, კაპიტანო, მე და ჟორჟი თქვენს განკარგულებაში გვიგულეთ. დანარჩენი მეზღვაურების შოვნა კი ჩვენს კისერზე იყოს, – უპასუხა დევიმ.

მონადირენი მეზღვაურთა მოსამებნად გაემართნენ. დევი მარჯვენა მხარეს წავიდა, ჟორჟი – მარცხენა მხარეს.

შებინდებისას დევი რამდენიმე მეზღვაურთან ერთად დაბრუნდა და დაინახა, რომ ჟორჟი გაცხარებით ეკამათებოდა „მდინარის მეფეს“.



- კარგია, რომ დაბრუნდი, დევი, - გაუხარდა ფორეს, - მიკი გვენაძლევა, თქვენთან ერთად ახალ ორღენამდე დაუყვები მდინარეს და გავისწრებთო.

- გავისწრებთ, გავისწრებთ, თქვე გლახებო! - წაიტრაბახა მიკიმ.

- დავლოთ სანაძლეო. თუ მოგიგეთ, მთელი თქვენი ბუწვეული მე დამრჩება, თუ დავმარცხდი, - იქედნურად ჩაივინა მან, - ხომ უყურებთ ჩემს მშვენიერ ქედს, თავისი არშეიბიანად და წითელი ბუმბულიანად შევსანსლაგ, მაგრამ მეეჭვება, რომ მე, მდინარის მეუფეს, ვიღაც „ტყის მეფემ“ მაჯობოს.

მეორე დილისთვის „მერცხალაც“ და „ალბატროსიც“ გასამზავრებლად მზად იყვნენ. ქვეშეზმა დაიქუხა. ეს გამზავრების ნიშანი იყო. ხალხი მხიარული შემახილებით ემშვიდობებოდა მეტოქეებს.

- სრული სვლით, წინ! - გაისმა მიკის ბრძანება.

მისი კარჭაბი ნელა გასრიალდა მდინარეზე. მეზღვაურებმა სიმღერა შემოსძახეს.

დღეისა და მთელ მის ეკიპაჟს ნაოსნობისა ინჩინინი არ გაეგებოდათ. ისე მოუქნელად მართავდნენ კარჭაბს, იქნება ფათერაკსაც გადაჰყოფდნენ, მაგრამ მონდომებას თავისი გაჰქონდა და ისინიც ნელ-ნელა უახლოვდებოდნენ „ალბატროსს“. თუმცა, ცოტა ხნით მაინც შეფერხდნენ. მიკი ფეხკმა მდინარის პირას ჩასაფრებულ ინდიელებს შეუვლია და ისე მკვიცხლად დაუსხლტა ხელიდან, რომ მისთვის დაშენილ ისრების სეტყვაში დღევი და მისი ეკიპაჟი მოხვდნენ. მხოლოდ მდინარის მოსახვევმა იხსნა „მერცხალა“ ხიფათისაგან.

- შეხეთ ამ ცულლულს, ხიფათში არ გვაგდებს?! - გაცხარდა დევი, - რახან ასეა, დამაცალოს; ისეთ ოინს ვუზამ, ზღაპარად ყვებოდნენ მერქ თქვა და აასრულა კიდევ.

ისეთი დამე დადგა, რომ კაცი თვალიან თითს ვერ მიიტანდა. ამით ისარგებლა დევი და „მერცხალა“ და „ალბატროსი“ გერძელი თოკით ერთმანეთს გადააბა. ღამით დევი და მისმა ეკიპაჟმა კარვად გამოიძინეს. მიკის კი თვალი არ მოუხუჭავს, გამარჯვების სურვილით შეპყრობილი, მოსვენებას



ენებას არ აძლვდა მეზღვაურებს და სწრაფად მიჰყავდა კარჭაბი. მხოლოდ განთიადისას მიხვდა დევის ეშმაკობას და ერთი ამბავი ატყნა:

- ვფიცავ ჩემს წვერებს, არავის მივცემ უფლებას, დასცილოს მდინარის მეუფეს!

მიკიმ თოკი გადაჭრა და ეკიპაჟი კიდევ უფრო ააჩქარა. დღეისა და მის მეზღვაურებს ეძინათ. მათ, რაღა თქმა უნდა, ვერ შეამჩნიეს, თანდათან როგორ დაპატარავდა მდინარე და მალე მეჩეჩებშიც გაიჩხირნენ.

„მდინარის მეუფე“ ღვარძლიანად დასცილობდა საფრთხეში ჩავარდნილებს. მაგრამ ვერც თვითონ გადაურჩა განსაცდელს. საიდანღაც მეკობრეების ორი კარჭაბი გამოჩნდა. კარჭაბები ელვის სისწრაფით პირდაპირ „ალბატროსს“ უახლოვდებოდნენ. ინდიელების ტანსაცმელში გამოწყობილ ავაზაკებს ერთი ღრინანცელი გაჰქონდათ. შეტაკებას თავიდან ვერ აიცდებდნენ.



შემინებული მიკი აცახცახდა, მაგრამ, მისდა საბედნიეროდ, „მერცხალა“ წამოეშველა. დევისა და მის მეგობრებს მერქნისათვის თავი დაეღწიათ და გამაღვლით მოისწრაფოდნენ „ალბატროსის“ გადასარჩენად. დევი და ჟორჟი ბრძოლაში ჩაებნენ და მტერს კუდიტ ქვა ასროლინეს.

დამარცხებულმა მეგობრებმა ნაპირს მიაშურეს და ტყეს მისცეს თავი.

მიკიმ მადლობაც კი არ გადაუხადა დევისს.  
- წინ! სრული სვლით წინ! - გასცა ბრძანება.  
- რაღაც უნდა დაგვიჯდეს, დევისს უნდა გავუწვიროთ!

დღეები დღეებს ცვლიდა, ორივე კარჭაბი ერთიმეორის მხარდამხარ მიქროდა ახალი ორღვანისაკენ. ვერც ერთი ვერ ახერხებდა მეტოქის უკან მოტოვებას.

ერთ დღეს ორივე ეკიპაჟმა რომელიღაც უკაცრიელ კუნძულს ჩაუარა. მოულოდნელად კუნძულზე ბერიკაცი შენიშნეს. სასოწარკვეთილი მოხუცი შევლას ითხოვდა. მიკიმ ისე განაგრძო გზა, ვითომაც აქ არაფერიყო, გულკეთილმა დევიმ კი „მერცხალა“ კუნძულს მიადგინა და მოხუცი კარჭაბზე აიყვანა.

ამასობაში „ალბატროსი“ კარგა მანძილით დაწინაურდა. მოხუცმა დევისს სიკეთე სიკეთითვე

გადაუხადა და ჭაობებზე გამავალი მოკლე გზა ასწავლა, ჭაობები დიდი გაჭირვებით გადალახეს და „ალბატროსი“ დაწვივნენ.

ახე გადიოდნენ დღეები.

ბოლოს ახალი ორღვანიც გამოჩნდა. ორი კარჭაბი თითქმის ერთდროულად უახლოვდებოდა მიზანს. მიკი აღელდა.

- სახელი გაგვიტყდება, თუ გავგასწრეს! - განაჩნლებით წამოიძახა მან. - სხვა გზა არა გვაქვს, წყალში უნდა გადავყაროთ მეტოქეები!

- გადავყაროთ, გადავყაროთ! - ბრძოლის ყინით აენთნენ მიკის მეზღვაურები.

ნიჩბები ასწიეს და „მერცხალას“ ეკიპაჟს შეუტეხეს.

მაგრამ არც დევი და მისი ეკიპაჟი იყვნენ გულხელდაკრეფილნი. მომხდურებს საკადრისი პასუხი გასცეს. ატყდა ერთი აურხაური. ფიცხელი ბრძოლისას თვით „მდინარის მეუფემ“ მოადინა ტყაპანი წყალში.

„მერცხალამ“ გზა განაგრძო. „ალბატროსი“ კარგა შორს დარჩა და ბოლოს, როგორც ექნა, „მერცხალამ“ ახალ ორღვანს მიაღწია.

- ვაშა, ვაშა, დევი! ჩვენ გავიშარჯვეთ! - შესძახა აღფრთოვანებულმა ჟორჟმა.

- მგონი მოვიგეთ! - უღვაშებში ჩაეცინა დევისს.

მეგობრებმა დიდსულოვნება გამოიჩინეს და გალუმბული „მდინარის მეუფე“ წყლიდან ამოიყვანეს.

- ეს საშინელებაა, ბატონებო! - ძლივს ამოღერდა საავდრო ღრუბელივით მოღუმულმა მიკიმ. - ეს საშინელებაა, რომ მდინარეზე გამართულ ბრძოლაში მდინარის მეუფეს ვიღაცამ აჯობოს, თუნდაც ის „ტყის მეფე“ იყოს! დაეფიცე და ჩემს ქულს შევჭამ კიდეც...


თურმე, მას მართლაც შეუჭამია თავისი არშეიბიანი და წითელბუმბულიანი ლამაზი ქული.

ამის შემდეგ დევი კროკეტი და მიკი ფენკი დაამობილდნენ და მათზე უკეთეს მეგობრებს მთელს იმ მხარეში ვეღარ იპოვიდით.





მხატვარი ნანა სხნაია



გლეხმა წისქვილში დასაფეკვავად 32 ტომარა ხორბალი ჩაიტანა და მიაწყო ტომრები ოთხ კედელზე ისე, როგორც სურათზეა ნაჩვენები:

მეწისქვილემ დაფეკვა ხორბალი, მაგრამ ოთხი ტომარა მოჰპარეს. შეეშინდა მეწისქვილეს და ისე დალაგა ტომრები, რომ დათვლის დროს ყოველი მხრით თორმეტ-თორმეტი გამოდიოდა. გლეხმაც

დათვალა და, რაკი ყოველმხრით ისე გამოდიოდა, როგორც თვითონ დააწყო, დაუდო ტომრები ურემზე და გამოსწია შინისაკენ. სახლში საითაოდ დათვალა და შეიტყო, რომ ოთხი ტომარა აკლდა. როგორ დაულაგებია ტომრები მეწისქვილეს?

ნაკბეული 1909 წ. №9

## ვალერიან მოსაშვილი

ვეება ბურთი ვიყიდე,  
ზოლიანი და ჭრელია,  
გაეჭურ და სისხლი დაღვარა  
კამკამა, ვარდისფერია.

თვით შესნ სხეულზე ექებე,  
სხვისაგან კარნახს ნურც ელი —  
აბა მითხარი, რასა აქვს  
წინ ზურგი, უკან მუცელი.



## მეღა ბლიამი

ფეიქარს რომ ქსოვით  
დაეღალა ენა,  
ციხე გაიკეთა,  
ჩაჯდა, დაისვენა.

ფეხებს ხელებად იყენებს,  
ვილინოდ კი ფრთებს  
თუ დაუსველდა, ვურ უკრავს,  
ზის ზის ტოტზე და თელემს.

## კაკეთა უნი ტარი

თოჯინა-სუკენირის დასამზადებლად დაგჭირდება შავ გრაფიტინი და ფერადი ფანქრები, მძივები, პლასტელინი, წერილი მავთული, თმა და საღამაძი.

შავგრაფიტინ ფანქარს კარგად წაუთალე წვერი — ეს ტანია. სათელით გათალე ფერადი ფანქარი ისე, რომ ნათაოდ არ გაწყდეს — ეს კაბაა. პლასტელინის გამოყენებით ფრთხილად ჩამოაცვი ფანქრის შუა ნაწილზე. ზედა ნაწილი გახვრიტე და გაუყარე რბილი მავთული — ხელები. თოჯინის ტანი და ხელები ფაქიზად შეავსო პლასტელინით და ზედ დაამაგრეთ ფერად-ფერადი წერილი მძივები. თავზე, იქ, სადაც ფანქრის საშლილია, ასევე პლასტელინით დაამაგრე წინასწარ თმებითა და თვალ-წარბით გამზადებული თავი და დაახურე ფანქრის დიდი ნათლისაგან დაამზადებული ქედი.

თოჯინა-სუკენირი ჩარატე ნებისმიერი მასალისაგან დაამზადებულ საღამაძში.



თინათინი პირველი







მეორე ბრძოლა საქართველოს ისტორი-  
იდან გავიხსენოთ: შამქორის ბრძოლა...

...იდეა საქართველოს ოქროს ხანა, სხვიმო-  
სილი თამარის ზეობის ხანა.


შირვანშაჰ აღსართან პირველი საქართვე-  
ლოს მფარველობაში იყო და როცა ტახტის  
წასართმევად თურქთა სულთანი აბუბექრი  
დაესხა თავს, აღსართანმა თამარს შევედრა  
თავისი. თამარმაც განამზადა თავისი მხედრობა  
შირვანის დასაცავად. ჯარს დავით სოსლანი,  
თავისი თანამეცხედრე და გიორგი I-ის შთა-  
მოშავალი უსარდლა, კვირი მძევი შალვა და  
ივანე ახალციხელები, გი გვერდში მოუყვნა.

აბუბექრიც საომარ სამზადისს შეუდგა და  
მეზობელ მუსლიმან გამგებლებს მიმართა დახ-  
მარებისთვის. ბაღდადის ხალიფამ დიდძალი  
ჯარი მიაშველა, ათასი ოქრო გამოუგზავნა  
და უძლეველობის დროშაც გამოატანა.

აბუბექრი განძიდან დაიძრა და ციხე-ქალაქ  
შამქორთან დაბანაკდა. დავით სოსლანმა იმ  
დროში ქართველთათვის წაცად ხერხს მი-  
მართა: ჯარი ორად გაყო. მარჯვენა ფლანგის  
შედარებით მცირე რაზმს შალვა და ივანე  
უსარდლა და სამკვედრო-სასიცოცხლო ბრძო-  
ლაში ჩააბა უშუალოდ ციხე-ქალაქ შამქორთ-


ან და ხიდან. თავად მეორე, ძირითადი  
რაზმით შამქორს მარცხნიდან შემოუარა. აქ  
გაუვალმა გზებმა ცოტა შეაყოვნა ქარ-  
თველები. მათ მარჯვნივ მოიტოვეს ქალაქი და  
ღრმა რეიდი განახორციელეს მტრის ზურგში.

ამასობაში ქართველთა მეორე თავგანწი-  
რული რაზმი გმირულად იბრძოდა შამქორის  
ციხის კართან, განახევრდა, მაგრამ ბრძოლის  
ველიდან ფეხს არ იცვლიდა. სწორედ ამ  
დროს, როდესაც თურქებს ბრძოლის ბედი გა-  
დაწყვეტილი ეგონათ, მოულოდნელად გამოჩ-  
ნდა დავითი თავისი ლაშქრით; მოულოდნე-  
ლობამ მტერს თავისი დასცა, შედრკა და  
გაქცევა დაიწყო. ქართველები დაედევნენ.  
შალვა ახალციხელმა ხელთ იგდო ხალიფას  
უძლეველობის დროშა. დილით შამქორის  
მცხოვრებლებმა ქართველებს „შოართუნეს  
კლიტენი“ და ამით მორჩილება გამოუცხადეს.  
მრავალი ტყვე და ალაფი იგდეს ხელთ ქარ-  
თველებმა... შალვა ახალციხელის მიერ მორთ-  
მეული ნაალფარო ხალიფას დროშა დიდე-  
ბულმა თამარმა გელათის მონასტერს შესწი-  
რა. ქართველებმა შამქორის ბრძოლით კიდევ  
ერთხელ დადასტურეს უძლეველობა მთელს  
წინა აზიაში.



მხატვარი ბიბ ლავაშვილი


ც  
 ხ  
 ნ  
 დ  
 რ  
 ს  
 ზ  
 თ  
 ი



მარინა  
აბულაშვილი




სანდრო  
შეკვა



სალომე  
გოგიბერიძე





ანანო

# TOP MODEL



ბედი მაქვს, ცხრა კაცის ბედი მაქვს,  
ასწლოვან „დიღის“ ვარ რჩეული,  
თქვენი ვარ, ანანო ჭეღია,  
თქვენს სიბოლს და ალერსს ჩვეული.




MEDIA ANAN  
MEDIA ANAN  
MEDIA ANAN  
MEDIA ANAN

დადა  
კოპ-მისა

# ჩოსმენი



„ჩოსმენი“ გამოცემის წიგნებს ყველა ასაკის ბავშვებისთვის: სათამაშო წიგნებს და გასაფერადებლებს ყველაზე პატარებისთვის, სასწავლო და შემეცნებით ლიტერატურას, ატლასებს ენციკლოპედიებს, რუსი მწერლების საუკეთესო ნაწარმოებებს, თანამედროვე ლიტერატურას მოზარდებისთვის...



ბ77/6




РОСМЭН



# საყვარელი წიგნიკლოკედია

გამოცემა მუდმივად



მოგვიჩვენეთ რედაქტორი ღონე წიგნიკლოკედია

სარედაქციო საბჭო: ლევან ბახუაძე, პლემო გვამელია, ნანი კაკაჩია, ნანა კვარაცხელია, გვამე კვარაცხელია, ვინა ლავარული, ირაბ ლიპარბულიანი, თაბ მიხაია, ციცილო მუხრანბილი, თაბარ ნინიკლოკედია, ნაბა მუხრანბილი

ვლაზე ნახატი მანანა მორჩილაძის

მისამართი: თბილისი, კოსტავას №14, ტელ.: 93 10 32, 93 41 30; გამოცემის 1904 წლიდან

ფასი: 2 ლარი და 50 თეთრი